



კონფლიქტის ქვეჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 17 აპრილი, 2013 წელი

დრო: 16:00 – 18: 30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი (მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
2. ნათია აბრამია - ჯანმრთელი სამყარო (მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
3. მიხეილ მირზიაშვილი - კრიზისების მართვის ინიციატივა
4. თამარ ტარტარაშვილი - ახალგაზრდული ცენტრი - საქართველო
5. ნაირა ბეპიევი - კავკასიური მოზაიკა
6. მარინა სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი "ლეა"
7. გიორგი შიოშვილი - კავკასიური სახლი - საქართველო
8. ნონა შონია - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
9. ნინო კალანდარიშვილი - ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
10. თენგიზ ფხალაძე - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
11. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
12. ლალი შენგელია - კულტურულ - ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
13. ლეილა წაროშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
14. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
15. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
16. ნანა გოგობია - კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით
17. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია

განსახილველი საკითხები

1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში აფხაზი და ოსი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვის და მათი საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის შესაძლებლობა - მიხეილ მირზიაშვილი
2. ქვეჯგუფის ფუნქციონირება: მუშაობის პრინციპი, კოორდინაცია, თემატური მიმართულებები და სხვა.

შეხვედრა გახსნა მეოთხე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. ქვეჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში აფხაზი და ოსი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვის და მათი საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

კრიზისების მართვის ინიციატივის წარმომადგენელმა დამსწრეებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ. მისი თქმით, მართალია კონფლიქტების ქვეჯგუფის მუშაობის საკითხი აქტუალურია როგორც ფორუმის, ასევე ეროვნული პლატფორმების დონეზე, თუმცა აქტიური საქმიანობა ამ მიმართულებით არ ხორციელდება. ერთი მხრივ არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყანა და კონფლიქტები ამ ქვეყნების ტერიტორიაზე, მეორე მხრივ კი არსებობს ევროკავშირის პოლიტიკა, ე.წ ჩართულობა აღიარების გარეშე. ამ პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტმა იმსჯელა კონფლიქტის ზონებიდან არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმში მონაწილეობის შესაძლებლობაზე და მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც გამოიყო 10 ადგილი ამ ორგანიზაციებისთვის. კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ, რომ ფორუმზე გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა გაიმართება ექვსივე ქვეყნის ეროვნულ პლატფორმაში.

ქვეჯგუფის წევრებმა განიხილეს კომიტეტის წინასწარი გადაწყვეტილება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ის საფრთხეები თუ რისკები, რაც ამ გადაწყვეტილების განხორციელებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. დამსწრეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ნდობის აღდგენას მხოლოდ მისასაღმებელია, თუმცა საკითხის ინიცირებამდე საჭიროა დადგინდეს რამდენად არიან მზად კონფლიქტის ზონის არასამთავრობო ორგანიზაციები ასეთი წინადადებისთვის და სურთ თუ არა საერთოდ ფორუმში მონაწილეობის მიღება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონფლიქტურ ზონებში ძალიან ცოტა დამოუკიდებელი ორგანიზაცია ფუნქციონირებს, არასამთავრობოების უმეტესობა ყველა საკითხს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ათანხმებს. შესაბამისად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ფორუმზე ნამდვილად სამოქალაქო საზოგადოება იქნება წარმოდგენილი. აღინიშნა, რომ სასურველია კონსულტაციების გავლა საქართველოს ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან.

კრიზისების მართვის ინიციატივის წარმომადგენლის თქმით, წინასწარი გადაწყვეტილება ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონს. ამ გადაწყვეტილებით კონფლიქტის ზონის არასამთავრობო ორგანიზაციებს ეძლევათ შანსი გავიდნენ ევროპაში. გასათვალისწინებელი ისიც, რომ ფორუმში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და არა სავალდებულო. მართალია გადაწყვეტილება ეხება კონფლიქტის ზონის ორგანიზაციებს, თუმცა განაცხადის გაკეთება შეუძლიათ სხვა ორგანიზაციებსაც როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან.

ქვეჯგუფის წევრები დაინტერესდნენ თუ რა სტატუსით მიიღებენ ორგანიზაციები ფორუმში მონაწილეობას და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს კომისია მონაწილეთა შერჩევის დროს. კრიზისების მართვის ინიციატივის წარმომადგენლის თქმით, ფორუმისთვის აპლიკაციების მიღება უკვე დაწყებულია. სააპლიკაციო ფორმა განთავსებულია ფორუმის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, მათ შორის კონფლიქტური რეგიონებიდან, შეუძლია შეავსოს ეს აპლიკაცია. შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭებათ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ გამოცდილება სახალხო დიპლომატიის სფეროში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველანაირი გაუგებრობა. რაც შეეხება სტატუსს, ისინი იქნებიან არა რომელიმე კონფლიქტური ზონის თუ არალიარებული ტერიტორიის, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორობის არეალის წარმომადგენლები. დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ სასურველია საორგანიზაციო კომიტეტმა ხელი შეუწყოს ახალი მოთამაშეების გამოჩენასაც და ფორუმში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცეს შედარებით გამოუცდელ, თუმცა კარგი პოტენციალის ორგანიზაციებს, რადგან გამოცდილების მქონე ორგანიზაციები დამოუკიდებლადაც ახერხებენ სხვადასხვა ფორუმებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობის მიღებას.

ამის შემდეგ დამსწრეებმა იმსჯელეს ქვეჯგუფის მუშაობის პრინციპზე, მისი საქმიანობის კოორდინაციასა და თემატურ მიმართულებებზე. აღინიშნა, რომ შეხვედრები უნდა იყოს თემატური (დასახელდა რამდენიმე თემა შემდეგი შეხვედრისთვის) და დღის წესრიგის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეჯგუფის წევრებმა. აუცილებელია ასევე შეთანხმება ელექტრონული კომუნიკაციის წესებსა და შეხვედრების თანმიმდევრობაზე. გამოითქვა მოსაზრება, ნახევარ წელიწადში ერთხელ გაკეთდეს ქვეჯგუფის მუშაობის სვოტ ანალიზი. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ქვეჯგუფს ჰყავდეს კოორდინატორი. დასახელდა კოორდინატორობის რამდენიმე კანდიდატი: ნანა გოგოხია, თამარ ტარტარაშვილი და გიორგი შიოშვილი. გადაწყდა, რომ ამ საკითხზე დისკუსია გაგრძელდება ელექტრონულად.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია